

საქართველო



ო რ ბ ა ნ ო მ რ ო ვ ე უ ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ პ ა რ ტ ი ი ს ა

« SAKARTUELLO »

« LA GEORGIE » Organe du Parti-National-Démocrate géorgien

საქართველო და მისი ბრძოლა

(ათი-წლის თავი)

სამგლოვიაროა თუ საამაყო ეს ათი-წლის თავი იმ დღიდან, როცა ბრძოლის ალში გაეხვია თავისუფალი საქართველო და ბოლო მოეღო მის დამოუკიდებელ არსებობას? აქ ბევრია სამგლოვიარო მომენტი. უფრო ბევრი საამაყო.

11 თებერვალს, 1921 წელს, დაიწყო შემოსევა რუსეთის ლაშქარმა... იერიში მოდიოდა: ერთი—სომხეთიდან, მეორე—აზერბაიჯანიდან, მესამე—რდილო კავკასიიდან მამისონის უღელ-ტყეხით და მეოთხე—შავი ზღვის ნაპირებით. ამავ დროს ოსმალეთის ლაშქარი გვირგვინებდა ზურგიდან, რომ ხელსაყრელ წამს შემოჭრილიყო და დაეჭირა ეს თუ ის ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა.

პატარა საქართველოს ერთგვებოდა ცეცხლის რკალი. მხოლოდ პოლონეთის ისტორია იძლევა ამისთანა მაგალითს საერთაშორისო აბრაგობისა. პოლონეთის მიწა წყალი ერთ დროს დაპყრობეს და დაინაწილეს სამმა იმპერიამ: რუსეთმა, ავსტრო-უნგრეთმა და გერმანიამ. ესლა კი ორი დიდი იმპერია—რუსეთი და ოსმალეთი—მისია საქართველოს გასაგლეჯად და დასანაწილებლად. რა იყო მიზეზი ამ საშინელ ამბებისა?

მიზეზს ნუ ვეძებთ. აღვნიშნათ ფაქტები.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში მუდმივი ბრძოლით მისუსტებული საქართველო პასუხა დასპარება რუსეთს თავის მიწაწყლის და თავისუფლების დასაცველად. დასდეს ხელშეკრულება. რუსეთი შემოვიდა, დაიჭირა თბილისი და შეუდგა თავის ბნელი განძარხვის განხორციელებას. ამოავდო სამეფო დინასტია, დაანგრია სასახლეები, გაატარა სახნისი იქ, სადაც ჰდუღდა ეროვნული ცხოვრება... რა გასაკვირია? თუ რომელიღაც არ დაპზოვეს კართავენ, ველური რუსეთი რას მოერიდებოდა საქართველოს, ამ განათლების კერას აღმოსავლეთში? მთელი ტერიტორია დაჭრილ იქნა ნაწილ-ნაწილად და დატოვდა ლტოლვილ ან განგებ მოწყვეულ უცხოელებს: სომხებს, გერმანელებს, ოსებს... გაირყვნა ენა, ჩაი-

შალა ეკლესია, ჩაჭრა განათლება, წაიშალა სახელები—წაიშალა სახელმწიფო.

მაგრამ რა წაჰშლიდა ეროვნულ შეგნებას? უხილავი და აუწონარი ძალა კიდევ სცემდა და აღელვებდა გულს. ძველ ნანგრევებში კიდევ ჰტრიალებდა სული წარსულ დიდების და გმირთა ლანდები კიდევ ევლინებოდა ღამის ბნელში მიძინებულ არემარეს. ხალხი მღეროდა—და ეს მღერა უფრო მოთქმას ჰგავდა, ვიდრე მღერას—«აღსდგე, თამარ-დედოფალა!» და თამარიც აღსდგა. ეს აღდგომა მოჰხდა 26 მაისს 1918 წელს: გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ქართველი ერი ამხელდა თავის გადაწყვეტილ ნებისყოფას, რომ ამიერიდან ის თვითონ მოუვლის თავის თავს, თვითონ მოუვლის თავის ტერიტორიას, ენას, ეკლესიას, განათლებას... აღსდგა გაერთიანებული საქართველო და თავის შეგნების აშუქებით გადააბა თავის სახელოვანი წარსული აწმყოს და აწმყო—განათლებულ კაცობრიობის მოძრაობას.

რა დიდებული სურათია! რა დიდებული ამალგებაა!.. ამას მოითმენდა რუსეთი? მოითმენდა ოსმალეთი? არა! ვერ მოითმენდა სწორედ ისე, როგორც ვერ მოითმინა რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ პოლონეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა 1830 წელს. პოლონეთის მოძრაობა ვერ ურიგდებოდა ვენის კონგრესის სულსა და ტრადიციას. საქართველოს თავისუფლებას ვერ ურიგდებოდა რუსეთის და ოსმალეთის სული და ტრადიცია. ის უნდა გაეყლიტათ, დაემხოთ. წაეშალათ... როგორც პოლონეთი 1830-1831 წელს.—ავრეც მოხდა.

საქართველოს მოგრტყა ცეცხლის რკალი.

რომ კარგად გავიგოთ დამალული აზრი იმ უბედურების, რაც დაატყდა საქართველოს, ყოველთვის სახეში უნდა გვექონდეს ის გეოგრაფიული ზონა, სადაც ბედმა თუ განგებამ მოამწყვდია იგი. ეს ზონაა—ზონა შენლის და შეტაკების ორი გონებრიობის, ორი სულისკვეთების, ორი კულტურის: ევროპის და აზიისა.

სალამინის ბრძოლამ უკუავდო პირველი თავდასხმა აზიისა და იხსნა განსაცდელისაგან ხმელთაშუა ზღვის კულტურა; ვენის ბრძოლამ გადაუჭრა გზა აზიიდან წამომსქდარ

მიურ განწყობილებას. სოციალური ცხოვრება აშენებულია ამ ნიადაგზე და მის განვითარებაზე დამოკიდებულია თვით სოციალურ ცხოვრების განვითარება. ეკონომიური მატერიალიზმი ამოძრავებს ხალხს და ჰქმნის ისტორიას.

ჩვენის აზრით, ეს შეხედულება ცალმხრივია და გადაჭარბებული. მართალია, ქვეყანა შესდგება მატერიისაგან, მაგრამ ამით მისი შინაარსი არ ამოიჭრება. არის კიდევ სხვა ძალაც, უხილავი და აუწონარი, რომელიც არა ნაკლებ ჰმოქმედობს ცხოვრებაში და აძლევს მას მიმართულებას. ასეთია რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება, პოეზია,—საზოგადოთ ყოველი იდეა ან სისტემა იდეათა, განსაკუთრებით კი იდეა თავისუფლების, რომელიც აღლვებს ხალხს და ჰქმნის ისტორიას.

როგორ? გაიკვირვებს ზოგი. განა სოციალისტები უარს ჰყოფენ მეცნიერებას და ხელოვნებას? განა...

საქმეც ამაშია. რასაკვირველია. ისინი უარს არ ჰყოფენ მეცნიერებას და ხელოვნებას, მაგრამ... დროებას კი ჰყოფენ ორ ნაწილად: ერთია—წარსული, მეორეა—მომავალი. ეკონომიური მატერიალიზმი იმათ უნდათ მხოლოდ წარსულის ასახსნელად, ხოლო რაც შეეხება მომავალს, აქ ისინი უფრო იდეალისტები არიან. ვიდრე ჩვენ, ვინაიდან სწორედ იდეით—სიტყვით, წერით. ქადაგებით—ცილობენ ქვეყნის გადაბრუნებას. გამოდის, რაც დიდი ძალა ყოფილა მომავლისათვის, იმას მნიშვნელობა არ ჰქონია წარსულში, და რაც წარსულში ყოფილა დიდი ძალა, მას დაჰკარგვია მნიშვნელობა მომავლისათვის. ეს წინააღმდეგობა ჰრჩება შეუირიგებელი.

ჩვენ თანასწორად ვიზიარებთ ორივე მსოფლ-მხედველობას, მატერიალიზმს და იდეალიზმს. ორ სკამზე ვიჯდართ? არა: მატერია—ფაქტია, ფაქტია იდეაც. ერთი ასაწონარი, მეორე აუწონარი, ორივე არის რეალობა, ამიტომ ჩვენი პროგრამა და პოლიტიკა არის რეალისტური ე. ი. ემყარება არა ფანტაზიას, არამედ იმას, რაც მოცემულია სინამდვილეში და რაც შეიძლება განხორციელდეს არსებულ პირობებში. იდეოლოგიურ საფუძვლად მას უდევს სინტეზი ამ ორი მსოფლ-

ტალღებს 1883 წელს და იხსნა ევროპა განადგურებისაგან; იგივე ტალღა შეეხებოდა პოლონეთს 1920 წელს, მაგრამ შეჩერებული მის გიჟურ დენაში წამოვიდა უკან და წაჰლექა თავისუფალი საქართველო.

სალამინი—ვენა—ვარშავა! აი მტრეული ხაზი ამ დიადი შეტაკებისა საუკუნეთა გასწვრივ. საქართველო ჰდევს ამ ხაზის აღმოსავლეთით, იმავე ბრძოლის და შეტაკების ზონაში. უწინ იმაზე ამბობდნენ «ავანპოსტია ქრისტიანობისა!»; უფრო სწორი იქნება ვთქვათ: საქართველო ავანპოსტია საკაცობრიო კულტურის და განათლებისა. საქართველოს დამხობის მიზეზი უფრო ღრმად ჰდევს, ვიდრე ეს ბევრსა ჰგონია. იგი გაიქყლიტა იმ დიადი წინააღმდეგობის შუა, რომელსაც წარმოადგენს ევროპა და აზია.

საქართველო მხოლოდ სამი წელიწადი იყო თავისუფალი. მიუხედავად საშინელი პირობისა, მან მოასწრო მინც გაეშალა შუქი თავის შემოქმედებითი ნიჭის და გულში ჩამარხულ იდეალების. აი ამ ნიჭსა და ამ იდეალებს შემოართყეს ალყა. ამ ნიჭსა და იდეალებს მოუწოდებდა წაშლა და ჩაქრობა.

ბრძოლა დაიწყო 11 თებერვალს, 1921 წელს, მაგრამ ეს ბრძოლა დღესაც არ გათავებულა. იხოცება მამულიწვილი ყოველ დღე, ყოველ თვე, წლიდან წლამდე; იხოცება თითო-თითოდ, იხოცება ჯგუფ-ჯგუფად, იხოცება მთლიან ეროვნულ გამოსვლებში. ვინ არიან ეს გმირები? აფხაზი თუ ხიმშიაველი, ჩოლოყაშვილი თუ ჯუღელი, ანდრონიკაშვილი თუ ხომერკი, წულუკიძე თუ ფალავა? იხოცება ათასობით. ახალგაზდობა, ახალი აფეთქება ეროვნული ძალების. წაიშალა პიროვნება, წაიშალა სახე და სახელი თითოეული გმირის ამ ეროვნული დიდების აშუქებაში. მთელი საქართველო დაედარა ერთ დიად საკურთხევებს, რომელზედაც ჰღვივის ცეცხლი, ცეცხლი ბრძოლის და განწირულების, რომლის ალში იწვის და იკარგება პარტია და პიროვნება.

იბრძვის ერი. ეს უნდა ნათლად შეიგნოს ყველამ და ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა მის ძალღონისამებრ ამ ბრძოლაში, რომლის სიდიადე—თავმდებია აუცილებელი აღდგენის და გამარჯვების.

მხედველობისა. ერთი იძლევა მის საბოლოო დასკვნაში კერძო საკუთრებას, მეორე—პიროვნულ თავისუფლებას.

მატერიალიზმი თანდაყოლილი ცოდვაა სოციალიზმის, მან თავისი დალი დასხვა მთელს დოქტრინას.

ეს დოქტრინა აგებულია სრულებით მარტივ და გასაგებ აზრზე. ქვეყანა შესდგება მატერიისაგან; რომ ამ მატერიას მიეცეს ეკონომიური ფასი, საჭიროა მუშაობა. ამ მუშაობას აწარმოებს მუშა, იგი ხნავს, სთესავს, სჭრის ხეს, ჰქედს რკინას, აშენებს სახლს, გადააქვს სიმძიმე... ერთის სიტყვით, ის ატრიალებს მატერიას მის სხვადასხვა ფორმაში და თავის ჯანით, თავისი ფიზიკური ენერჯის დახარჯვით, ჰქმნის ეკონომიურ ღირებულებას, ჰქმნის სიმდიდრეს. მიუხედავად ამისა, ყველაზე უფრო დაჩაგრული და დაბეჩავებული არის მუშა. მთელი მისგან შეჰქმნილი სიმდიდრე გადადის სხვის ხელში, მუშაკი რჩება მშიერ მწყურვალად. სად არის გამოსავალი ამ საშინელ მდგომარეობიდან? გამოსავალი ერთია: მუშები ყველა ქვეყნისა უნდა შეერთდნენ, შეებრძოლონ იმ კლასს, რომლის ხელში მოგროვილია ეს. მისგან შეჰქმნილი სიმდიდრე, ჩამოართვან იგი, მეტე თვითონ უნდა აიღონ ხელში სრული მართვა-გამგეობა და მოაწყონ ცხოვრება ისე, რომ ამისთანა ჩაგვრას და უსამართლობას უკვე ადგილი არ ჰქონდეს. აქედან—აუცილებლობა კლასთა ბრძოლის და დიქტატურისა.

როგორც ჰხედავთ, კლასთა ბრძოლას და პროლეტარიატის დიქტატურას საფუძვლად უდევს ერთი მარტივი აზრი, ეს ის—რომ ვითომდა ერთად ერთი შემომქმედი მატერიალური ღირებულების არის მუშა, მისი ჯანი, მისი ფიზიკური ენერჯია.

სწორია ეს აზრი?

მართალია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, ვინც გააკეთა პირველი ურემი, ან ვინც წყალში ჩაუშვა პირველი ნავი, მაგრამ განა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმას, ვისიც თავში პირველად დაიბადა იდეა ურემის ან ნავისა? იდეა წინ მიუძღვის მოქმედებას.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

და

ე რ ო ვ ე უ ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა

(წერილი მეხუთე)

ჩვენ და სოციალისმი

სოციალისტური მოძღვრება მოედო მთელს მსოფლიოს. უნებლიეთ მაგონდება ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა. ქრისტე ჰლაღებდა: «მოდით ჩემთან მაშვრალნო და ტვირთ-მიძინო და მე გიხსნით თქვენაო». სოციალიზმიც ამას ჰლაღებდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქრისტე ჰპირდებოდა სამოთხეს ცაში, სოციალიზმი კი გვპირდება ამ სამოთხეს აქვე, ამ მიწიერ ცხოვრებაში. რა გასაკვირია, თუ ამ მოძღვრებას მიაწყდა ყველა «მაშვრალნი და ტვირთმიძინი».

ჩემი ხმა საკმარისად სუსტია, რომ გაუბნის ვისმე ილი-უხიები. ამიტომ შემოიძლია გამოვსთქვა ჩემი აზრი. შევეხები მხოლოდ ძირითად პრინციპებს და ისიც ზოგად ხაზებში.

იდეოლოგიური საფუძველი სოციალიზმისა არის მატერიალისტური მსოფლმხედველობა.

მატერია არის მიწა, წყალი, ჰაერი.—ყველაფერი, რასაც კი აქვს რაიმე სიმძიმე, რაიმე წონა. ქვეყნიერება შესდგება მატერიისაგან, ამბობენ სოციალისტები, და მაშასადამე მატერიაში უნდა ვეძიოთ ახსნაც ყოველი მოვლენისა. ადამიანი გამონაკლისი არ არის. ისიც შესდგება მატერიისაგან. იმას უნდა სმა-ჰამა. ჩაცმა-დახურვა, სითბო, თავშესაფარი და სხ. ამ მოთხოვნებთან დასაკმაყოფილებლად საჭიროა მუშაობა. ე. ი. დამუშავება. გარდაქმნა. გადაკეთება მატერიისა. ამ მუშაობაში ჩაბმულია მთელი კაცობრიობა. ფორმა და ხასიათი მუშაობისა სხვადასხვაა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მხარეში, მაგრამ ყოველგან იგი ჰქმნის შესაფერ ეკონო-



ს ა მ გ ლ ე ვ ი ა რ ე პ ო ტ ე გ ხ ი ა ხ ა ხ ა ე ლ ა ა ლ შ ე .

ნოე რამიშვილი

გასული წელი დამთავრდა სამგლოვიარო მოვლენით: 7 დეკემბერს, შუა პარიზში, მოკლულ იქმნა რევოლუციური ნოე რამიშვილი.

ესლა არა პღირს დაწვრილებით აწერა მისი, თუ როგორ მოჰხდა ეს ვერაგული აქტი. მაშინადვე მთელს პარიზს მოედო ეს შემადრწუნებელი ამბავი, ის გადაეცა ტელეგრაფით მთელს ევროპას, აზიას და ამერიკას და თითქმის ყველა პარიზის გაზეტებმა მოათავსეს თავიანთ ფურცლებზე სურათი საქართველოს ცნობილ მამულიშვილისა და მიუძღვნეს მის ხსოვნას მხურვალე წერილები. ამ ნაირად ქვეყნიერების თვალწინ—ერთხელ—კიდევ გაიარა საქართველოს სახემ და ერთხელ კი—

ესლა არ მოიპოვება არც ერთი დარგი მრეწველობისა, სადაც რომ არ ტრიალებდეს მანქანა, დიდი და პატარა, სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების. ზოგი წარმოადგენს ათასს და ათი ათას ცხენის ძალას. რაა მასთან შედარებით ადამიანის ჯანი და ღონე? ზოგი აკეთებს ისეთ საგნებს, ისე ბლომად და ისე სწრაფად, რომ ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, თუ რა პროცენტი მოუწევს მუშას ამ შემოქმედებაში. მართალია მუშა აქაც საჭიროა, მაგრამ ყველა დახარჯული ენერჯის ჯამში მუშის ენერჯიას უჭირავს ძალიან მცირე ადგილი.

ვინ იცის, რამდენი მილიონი ფუთი საქონელი გადადის და გადმოდის დედამიწის ზურგზე ყოველ დღე, მაგრამ ყველა ამ სიმძიმეს მუშა კი არ მიათრევს თავის ზურგით, ეს სიმძიმე გადააქვს და გადმოაქვს მატარებელს, გემებს, ჰაეროპლანებს.. მუშის როლი შედარებით აქ ძალიან მცირეა.

რა ჰხდება სასოფლო მეურნეობაში? მუშა კი არა, პირუტყვიც კი—ცხენი თუ ხარკამბეჩი—თანდათან ჰთავისუფლდება მძიმე და ძნელი მუშაობისაგან. მათ ადგილს იჭერს დამორჩილებული ბუნების ძალა. მაშინიხში იჭრება სოფელში ჰტრიალებს და ჰქმნის სიმდიდრეს ათჯერ და ასჯერ უფრო მეტს, ვიდრე ეს იყო დღემდე.

ეკონომიურად აღურიცხველი მნიშვნელობა აქვს სივრცის დაპყრობას, სისწრაფის მოპოვებას, რკინის გზას, ზღვაოსნობას, ავიაციას, ტელეფონს, რადიოს... ვინ ჩამოთვლის? რამდენია კიდევ გასაოცარი დაპყრობანი ჯაცის გონების? ვინ იცის კიდევ ხვალ რა მოხდება? იქნებ ჰქმნიან მიაღწიოს იქამდე, რომ მოგვეცეს ბლომად და ადვილად საკვები მასალა, იქნებ გამოიყვანონ სითბო ეკვატორიალურ ქვეყნებიდან და მოჰდინონ იგი გაცივებულ ქვეყნებს, იქნებ გახსნან ატომი და იქიდან, როგორც ირწმუნება ენშტეინი, მივიღოთ აუარებელი ენერჯია, რომელიც დააკმაყოფილებს ბევრს ჩვენს საჭიროებას და იხსნის თვითონ მუშას ყოველი ძნელი და მძიმე მუშაობისაგან.

ერთი ცხადია: მუშა არ არის ერთად ერთი შემომქმედი სიმდიდრისა. ამ სფეროში შეუდარებლად უფრო მეტი სამ-

დევ დაჰდგა მსოფლიო შეგნების წინაშე მისი ბედი და მისი მოთხოვნილება.

14 დეკემბერს მოჰხდა დასაფლავება. ამ დღეს პარიზის გვერდით, ბანიოს სასაფლაოს კარებთან, შეყრილიყო დიდალი ხალხი. ვრცელი მოედანი გაჰყვდილი იყო ნაცნობით და უცნობით, ქართველებით და უცხოელებით, ჟურნალისტებით და პოლიტიკური მოღვაწეებით... გამოჩნდა სამგლოვიარო ავტომობილი, დატვირთული გვირგვინებით და შევიდა ნელა სასაფლაოს ბაღში. ვრცელი ხეივანი, ხევით—მაღალი ხეების გატიტვლებული ტოტები და ქვევით—ყვავილებით შემკული კუბო და ეს აუარებელი ხალხი, რომელიც მას მისდევდა ნელა, მწუხარე დუმილში, ეს იყო მართლა დაუფიქარი სურათი. ღია საფლავის წინ წარმოითქვა ბევრი შესანიშნავი სიტყვა. სამწუხაროდ ჩვენ ყველასი მოყვანა არ შეგვიძლია, მაგრამ

სახური მიუძღვის გონებრივ ენერჯიას—მეცნიერებას, ცოდნას, ტექნიკას.

თუ ეს ასეა, რას ემყარება იდეა კლასთა ბრძოლის და პროლეტარიატის დიქტატურისა? არაფერს. იმას ენერჯეა ერთიანად მისი იდეოლოგიური საფუძველი. ჰრჩება მხოლოდ დემოკოგიური ღონეუნი, რომელიც კიდევ აღელვებს უმეცარ და პრიმიტიულ ხალხს. ლენინმა ამით კარგათ ისარგებლა და გადაადგო კიდევ უფსკრულში მთელი რუსეთი. ასეთია ლოლიკური დასკვნა მატერიალისტური შეხედულების: ის ადამიანში აფასებს მუშას, ჩვენ მუშაში ვაფასებთ ადამიანს.

მატერიალიზმს აქვს თავის ლოლიკა. თუ ქვეყანა მატერიაა და ადამიანი აქ გამონაკლისი არ არის, ცხადია, ადამიანიც მატერიაა და მას უნდა მოვეყრათ ისე, როგორც მატერიას. სოციალისტურ რუსეთში სწორედ აგრე იქცევინა. იქ ადამიანს უყურებენ, როგორც მასალას. თუ გამოსადეგია მასალა, კარგი, იმას მოიხმარებენ, ან და გამოიყენებენ. სწორედ ისე, როგორც ქვას ან აგურს რაიმე შენობისათვის. თუ ის გამოსადეგი არ არის, მაშინ «გაჰყავთ ანგარში» ე. ი. პირდაპირ ჰხოცავენ.

სხვაა ჩვენი შეხედულება. ჩვენთვის ყოველი ადამიანი მატარებელია იმ უდიდესი საიდუმლოების, რომელსაც ჰქვინა შეგნება ან შეგნებული ნებისყოფა. სინდისი, სამართალი, ძმობა, სიყვარული, ყოველი იდეა, რომელიც ამიდრებს, აფერადებს და ამაღლებს ცხოვრებას,—სულ ეს არის აშუქება ადამიანის შეგნებისა. იმას ჩვენ ვერ წავშლით და «ანგარიში ვერ გავიყვანთ». პირიქით, იმას ჩვენ ვუვლით, მის წინ მუხლს ვიყრით და ვცდილობთ ჩავაყენოთ იგი ისეთ პირობებში, რომ მისი აშუქება იყოს უფრო ბრწყინვალე, უფრო ძლიერი, ვინაიდან მხოლოდ იმაშია აზრი და გამართლება არსებობისა. ამიტომ ადამიანი ჩვენთვის არის არა ქვა ან აგური, არა მატერიალი, არამედ არსება «საღმრთო და ხელუხლებელი»: ის უნდა იყოს თავისუფალი.

შეუძლებლად მიგვაჩნია არ მოვიყვანოთ ბ. ნოე ყორდანიას სიტყვა, რომელიც მოკლედ მაგრამ კაფიოდ ჰხატავს მთელი ქართველობის სულიერ განცდას.

ნოე ყორდანი, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ამ სიტყვით გამოესალმა მიცვალებულს:

«ქართველი ერის სახელით ვეთხოვები ამ ძვირფას ცხედარს და მას ვატან სამარადისოთ ამ ერის მადლობას, მადლობას იმ ღვაწლისათვის რაიცა მას მიუძღვის მის წინაშე და რომლის საკურთხეველზე მან თავის თავი დასდო.

დღეს ჩვენთან ერთათ გლოვობს მთელი ქართველი ხალხი, ჩვენთან ერთათ განიცდის ამ დაკარგვის ტკივილებს და აღშფოთებას იმ ვერაგთა წინააღმდეგ რომლებმაც ეს საშინელი დანაშაული მოაწყო.

ქართველი ხალხი კარგად იცნობდა ნოე რამიშვილს, ის

საზოგადოებრივ ცხოვრებაში უსაზღვრო თავისუფლება შეუძლებელია. იმას აქვს თავისი ფარგალი. გასწიეთ ეს ფარგალი ბოლომდე და თქვენ მიიღებთ ანარქიას; ან შეავიწროეთ იგი ბოლომდე და თქვენ მიიღებთ დიქტატურას. ჩვენ არ გვინდა არც ერთი და არც მეორე. ჩვენ გვინდა მაქსიმუმი თავისუფლებისა, შესაძლებელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ეს არის უფლება.

სოციალისტები მოითხოვენ დიქტატურას ე. ი. აუქმებენ უფლებასაც და თავისუფლებასაც, აგრე მოხდარუსეთში.

თავისუფლების იდეასთან მჭიდროთ შეკავშირებულია პრინციპი კერძო საკუთრებისა.

ტიერი ამტკიცებდა: «კერძო საკუთრება არის გაგძლეება პიროვნებისა». ეს არ არის მართალი, მაგრამ ახლოა სიმართლესთან.

თავისუფლება არის იდეა, რადაც განყენებული ღვთაება, რომელიც თითქო დასრიალებს ცაში და მიწას არ ეკარება. რომ ის ჩამოვიდეს ციდან და დადგას ფეხი სადმე იმ მორევში ან ტალღათა სრბოლაში, რომელსაც ჰქვინა საზოგადოებრივი ცხოვრება, მან უნდა იპოვოს რაიმე კუნძული, რაიმე მატერიალური საგანი, თუნდაც პატარა ნაფოტიც; რომ დაადგას იმას ფეხი. ასეთი კუნძულია ან ნაფოტი კერძო საკუთრება.

ჩემი ტანისამოსი ჩემია: ის მიფარავს სიცოცხისაგან. მცირეა თუ არა, ეს სხვამკი არ უნდა მითხრას. ამას მე ვგრძნობ და მე მეკითხება. ამიტომ ტანისამოსიც უნდა იყოს ჩემს განკარგულებაში,—ის ჩემი კერძო საკუთრებაა.

ჩემი ბინა ჩემია: იქ ვისვენებ, იქ მძინავს, იქ ვერთობი ან ვმუშაობ. მოსვენება, ძილი, გართობა თუ მუშაობა, სულ ეს ჩემი საქმეა, სულ ეს სხვადასხვა ფორმაა ჩემი თავისუფლებისა. ამიტომ ჩემი ბინა უნდა იყოს მხოლოდ ჩემს განკარგულებაში.

იგივე ითქმის ყოველ შრომაზე, ფიზიკურია ის თუ ვონებრივი, და ყოველ ღირებულებაზე, რომელიც შედეგია ამ

ველ დიდ მიღწევათაგანი იქნება ის, რომ მომავალში დემოკრატიის სხეულს, სახელმწიფოს ისეთივე მორალი ძლიერება მიენიჭება, როგორც თვით დემოკრატიას, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, დემოკრატიზმი გაბატონდება საერთაშორისო უფლებებაში. ამ მხრივ ამერიკელ პრეზიდენტ ვილსონის მოთქმება, რასაკვირველია, «ოცნება» არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიზმი იდეურად გამარჯვებულია, დღეს ხშირად გაიძახიან დემოკრატიის კრიზისზე, მაგრამ დემოკრატიის მოწინააღმდეგენი მხვედველობიდან განგებ უშვებენ იმ გარემოებას, რომ დემოკრატიულ ქვეყნების ჰეგემონია დღეს მკვიდრია ევროპის კონტინენტზე. დემოკრატიზმი ერთად ერთი ძალაა, რომელიც დღეს უპირისპირდება ბოლშევიზმს და კომუნისმს. თანამედროვე დემოკრატიზმი პირველია ბერძნულ-ლათინურ ჰუმანიზმზე აღზრდილ ევროპის ცივილიზაციის. ყოველი ორგანიზმი, ისტორიაში ისე, როგორც ბიოლოგიაში, ობიექტია ორი სხვა და სხვა ბუნების ძალის: მასაზრდოვებელი და დამშლელი. ევროპის ცივილიზაციას ასაზრდოვებს ბერძნულ-ლათინური ბუნების ძალა; მას დამშლელად უნდა მოვლენოდა ის ძალა, რომელიც ისტორიულად (ტატიკის დროიდან) დაუპირისპირდა პირველის ბუნებას: ამ ძალის პუნქტი ჩრდილო-აღმოსავლეთით იდო. რასაკვირველია ბერძნულ-ლათინურ კულტურის შუქი იმდენად ძლიერი იყო, რომ მას ევროპის ყველა კუთხეები გაენათებია, მაგრამ აქ-იქ დარჩა გაუტყეველი ბურჟუაზი ადგილები (თავისებური მისტიციზმით) და აქედან წამოსული ძალა შეეჯახა ევროპის ცივილიზაციის მატარებელ ძალას. «მსოფლიო ომი» არსებითად არც დღეს დამთავრებულა; ომი გრძელდება მეორე პერიოდში «დასავლეთსა» და «აღმოსავლეთს» შორის. რანაირი საერთაშორისო დაჯგუფებანი არ უნდა მოხდეს ამ ომის სხვადასხვა პერიოდში, საბოლოო გადამწყვეტ დროს ყოველად შეუძლებელია არ მოხდეს ბუნებრივი ისტორიული დაჯგუფება, სხვადასხვა ცვლილებებით რომელსაც უკარნახებს უკანასკნელ პერიოდის ისტორიაში დემოკრატიზმის გამარჯვება ევროპის ცივილიზაციის მატარებელ ძალას.

რა ადგილი აქვს საქართველოს საკითხს ამ საერთაშორისო ცხოვრებაში? იმ საუკუნეში, როდესაც მანძილი თითქმის არ არსებობს, სრულიად ბუნებრივია—საქართველო ვერ გაქცევა საერთაშორისო პირობებს; მიუხედავად ამისა, არის კიდევ მეორე უფრო ღრმა პირობები, რომელიც განსაზღვრავს ქართველი ერის ისტორიულ «პოზიციას». ყოველი ერის პირველი განმსაზღვრელი ნიშანი, ან ერთგვარი პროტოპლაზმა არის კულტურა: საერთო «სული», რომელიც ტრიანებს «ცხოვრების» ყოველ მხარეში.

სანამ ევროპა გაიყვინებოდა ბერძნულ-ლათინური კულტურით, ეს კულტურა ანათებდა ბიზანტიაში. ბიზანტიიდან მისი შუქი ეფინებოდა საქართველოს და უკრაინას. საქართველომ შეითვისა, შეისისხლბორცა ეს კულტურა და ქართულ გენიის შემოქმედებაში მიიღო და შეიყვარა. დირს-აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ სხენებულ პროცესის დამთავრებისთანავე, რაც ემთხვეოდა ბიზანტიის დაცემის დროს, უცრად დადგა ისეთი დრო, როდესაც საქართველომ ისტორიულ პირობების გამო სადათას ძილით დაიძინა თითქმის იმისათვის, რომ მეცხრამეტე საუკუნეში მის გახილულ თვალს პირველად ისევ ევროპის შუქი მოჰფენოდა. ქართველი ერის ეს ახლად გამოღვივებული სახე სავსებით გამოიხატა ახალგაზრდა იდეის ეკლექტიურ ევროპიზმობაში.

ბუნებრივია—ქართველი ერის შემდეგი ცხოვრება ვერ აშორდა იმ გზას, რომელსაც მას საკუთარი ისტორიული ბუნება უკარნახებდა. დღეს საქართველოს ეროვნული სახე მონაწილეობს საერთაშორისო ცხოვრებაში და შიგ გარკვეული მხარი უჭირავს. მომავალი აუცილებლად დემოკრატიზმს ეკუთვნის. ევროპის ცივილიზაცია იხსნის საკუთარ თავთან ერთად ეროვნულ სახელმწიფოებსაც. «ელნური სასწაული» მარადიულია. მისი მოსპობა მეორე სასწაული იქნებოდა, რომ საზოგადოდ სასწაულის მოხდენა ქალის ძალას შეეძლოს. თავისუფალი ერისა და დემოკრატიის პრინციპები იმ მაგარ მარმარილოს პიედესტალზე დგანან, რომლიდან მათი ჩამოგდება ადამიანს არ ძალუძს და ისინი იმ ქარიშხალს, რომელიც დღეს უბერავს უწყველად გადიტანენ.

დემოკრატიული ევროპა დასავლეთით და სამხრეთით, ანტი-დემოკრატიული ევროპა აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით: ასეთია დღეს საერთაშორისო ძალების დაჯგუფება. მათი საბოლოო შეჯახების შემდეგ ის ერთი გადარჩება, რომელიც თავისუფლებისაკენ მისწრაფებით დემოკრატიზმის ორბიტში მოექცა; დანარჩენები დაადგებიან, ალბად, მძიმე გარდაქმნის პერიოდს, როდესაც მათ უნდა შეითვისონ დემოკრატიზმი მთლიანად: შიგნით, ერში, და გარედ, ერთა შორის.

გმ. ნადარეიშვილი.

ახალგაზღვრა და კომუნისტები

(წერილი საქართველოდან)

ყველაზე რთული საკითხი მომავალი განთავისუფლებული საქართველოსი არის ის ახალგაზღვრების საკითხი. რომელიც სრულიად ბოლშევიკურ რეჟიმში აღიზარდა. რუსეთის შემოსვლის შემდეგ ათმა წელმა განვლო. ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოიცვალა. ბავშვები, რომლებიც ჩვენი დამოუკიდებლობის დროს იყვნენ 7-8-9 წლის ისინი უკვე არიან 17-18-19 წლის. იმათ არაფერი ახსოვთ დამოუკიდებელი საქართველოსი და არც იციან მის შესახებ არაფერი. ნიკოლოზის დროს ქართველებს საშუალება ქონდათ წაეკითხათ საქართველოს ისტორია მინც. ესლა ეს შეუძლებელია: სკოლებისგან და სამკითხველობისგან განდევნილია საქართველოს ისტორია სრულიად. მის მაგიერ შემოღებულია სახმეცნიერება, რომელშიც გაშუქებულია კლასთა ბრძოლის ისტორია უმთავრესათ, მაგრამ იქაც ცალმხრივობაა და ეხება კლასთა ბრძოლის მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც უნდა აქონ და აღიდონ ბოლშევიკები. ბავშვი ძალაუნებურად უნდა დაეთანხმოს იმ აზრს ვინაიდან მეორე აზრის დაწერა ან თქმა არ შეიძლება. აქ ქებათა ქება მათზე შეთხზული. თითქმის იმათ მოახდინეს რევოლიუცია, ისინი ებრძოდნენ ბურჟუებს, თავადებს, სხვა ქვეყნების ბურჟუაზიას და სხვა. თუ როდისმე მოაწვევ შეეკითხება მასწავლებელს, რომელიც ყოველ მიზეზს გარეშე კომუნისტია. საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ის ასე ეტყვის: «შენ ალბათ მენშევიკი ან მენშევიკის შვილი ხარ?» მერმეთ მოუყვება: «იყო რაღაცა, ბატონობდნენ ინგლისელები, ფრანგები». და სხვა. მერმეთ დახატავს დახატულ დიდ მუცლიან ადამიანს და გამოაკრავს კედელზე წარწერით: «მენშევიკი-ბურჟუა». მერმეთ შეეკითხება ბავშვებს: «გინდათ ბავშვობა ასეთი ხალხი მოვიდეს?» ბავშვები ეტყვიან: «არა, ამხანაგო მასწავლებლო». ასეთი ხალხი, რომ მოვიდეს ხომ შეებრძოლებით? პასუხს მიიღებს: «რასაკვირველია!» ასე მიდის დღეები სწავლის.

სულ მოაწვევ სკოლაში სწავლობს 220 დღეს და თითქმის ამ ორას ოც დღეს სულ კამპანიებს და აგიტაციას სჭირდება. პირველს სექტემბერში. მოსავლის მოკრეფის მერმეთ ოქტომბრის დღესასწაული. რომლისთვის სკოლა და მთელი ახალგაზღვრა ერთ თვეს მინც ემზადება. მერე ანტირელიგიური შემდეგ დეკა, პირველი მაისი, 25 თებერვალი, წერა-კითხვის და სხვა. ეს დღეები არის დღეები ფართო აგიტაციის. ეს დღეები და კამპანიები არის, მხოლოდ იმისთვის, რათა დაიპყრონ ახალგაზღვრა. უკანასკნელად შემოღებულმა განუწყვეტელმა კვირებ ბავშვები სრულიად დააცილა მშობლებს. ვინაიდან ბავშვი ისეთ დღეს ისვენებს, როცა მისი მშობლები მუშაობს და კვირე უქმეებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება.

ახალგაზღვრების დასაპყრობლათ ბოლშევიკებს აქვს სამი ორგანიზაცია. პირველია «ოქტომბრელები». ამაში შედიან ბავშვები 5-დან 8 წლამდე. მშობელი იძულებულია ბავშვი ჩარიცხოს მასში, რომ ის მიიღონ საბავშვო ბაღში ან პირველ დაწყებით სკოლაში. აქედანვე იწყებენ ბავშვებში ანტირელიგიურ კამპანიას. ყველას აქვს გულზე წითელი ლენტები. და პატარა ლენინის სურათი. საბავშვო ბაღში და სკოლებში ბავშვებს ასწავლიან, რომ ლენინი მათი სულიერი მამაა და სხვა. რომ კითხო 6 წლის ბავშვს, ვინ გიყვარს ყველაზე უფრო? ის გეტყვის ძია ლენინო და არ დასახელებს დედას ან მამას.

შემდეგ მოდის «პიონერების ორგანიზაცია». ამაში არიან ბავშვები 8-13 წლამდე. ეს უკვე პოლიტიკური ორგანიზაციაა. მასში ბავშვებს უკვე აქვს განსაკუთრებული ფორმები, წითელი ბლუზებით. თვითუღმა მათგანმა იცის 20-მდე ლექსი ლენინზე. აქ ბავშვებს ასწავლიან, რომ იქ ვალდა არიან ვილაც ბურჟუები. ისინი ლამობენ, რომ გამოვიდნენ და ბავშვებს წაართვან წითელი ბლუზები, დაუხოცონ დედ-მამა და სხვა. ბავშვებს ჩამოუარს ხელმძღვანელი და დაუძახებს «პიონერებო! იყავით მზათ მენშევიკ-ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში» და გაიგონებთ ერთათ პასუხს «მზათ ვართ!»

13 წლის შემდეგ ახალგაზრდა უნდა შევიდეს კომსომოლაში. და იქ ირიცხებოდეს 23 წლამდე. ეს პირდაპირ პირწავარდნილი მოხმამული ხალხის ორგანიზაციაა. აქ ბავშვები სწავლობენ, როგორ დაამცირონ სხვა. უკვე ატარებენ იარაღს, ყოყლოჩინობენ. ვი შენს დღეს თუ სადმე ჩაუვარდი მათ ხელში, განსაკუთრებით, თუ უპარტიო კაცი ხარ. იმათ აქვთ ყველაფრის უფლებები. საკმარისია, მოისურვოს და შემოვა დაწესებულებაში, მოგთხოვს წიგნებს, ანგარიშებს, და ვი შენს დღეს, თუ არ მოეწონა შენი ფიზიანომია. მეორე დღეს ნახავ შენს თავს გაქიმულს გახეთში, შემდეგი სათაურით «გაჭუსწორებელი ბიუროკრატი» ან სხვა. სკოლაში ამ ხალხს ხომ ყოველგვარი პრივილეგია აქვთ ისინი სწავლაზე არ ფიქრობენ, მაგრამ მოწმობაკი ყველას უნდა მისცე თორემ ვი შენს დღეს, მასწავლებლო! სკოლაში, ვინც აქტიური კომსომოლია, გაკვეთილებს სულ არ ესწრება. დილიდან საღამომდე სულ კრებები აქვთ. ისე, რომ თავისუფალ დღეს მათთვის ვერ ნახავ.

დაიწყება. ჯერ ორგანიზაციის სხდომა, მერმეთ ბიუროს შემდეგ კომიტეტის, მერმეთ პრეზიდიუმის. შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოების, მერმეთ აგიტაციის, შემდეგ სკოლის, შემდეგ კავშირის, რედკოლეგიის და სხვა-რამდენიმე სათაურით პირდაპირ კაცი გადაირევა. დაგანა ისეთი ხალხი გაკუთნებს, რაიმეს სკოლაში? რასაკვირველია არა. პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე სულ ყოველთვის ორჯელ მეტია მოწაფეების წარმომადგენლები ვიდრე მასწავლებლები და იმათ რაც უნდათ იმას გაიტანენ. ვი შენს დღეს, თუ რაშიმე ეწინააღმდეგე. იქვე დაგემუქრება «მაგისტრის ხვალ მოგვლაპარაკებინა» და დიდი ბედნიერება იქნება თუ იმ ღამეს არ მოგვლაპარაკენ. ისეთნაირათ მოაწყვეს ყველაფერი, რომ არაკომპაგენირელ ახალგაზრდას პირდაპირ შეუტრეს გზები. მათ არც სკოლაში ლებულობენ, არც უნივერსიტეტში, არც სამუშევარზე, არც სამსახურში. და კიდევაც დასცინიან. რა ქნას ბავშვმა, რომელსაც არ უნდა კომსომოლაში ჩაწერა? ის უნდა დარჩეს უსწავლელი, უსამსახურო და. უნდა აიტანოს ყველაფერი ან და უნდა ჩაეწეროს კომსომოლაში ფორმალურათ მინც. გადის დღეები, თვეები და წლები, ეს ფორმალურობა იქცევა მერმეთ უკვე სხვა რამეთ და ისიც იწამლება ისე, როგორც დანარჩენები.

მაგრამ ეს საწამლაიც არ არის სასიკვდილო. პირველივე მობერვა თავისუფლებისა გასწმენდს ახალგაზღვრების გონებას ბოლშევიკური სენისაგან და, განსაცდელის ქამს, იმათ გულში კვლავ დაინახავს ამხატულს თავის სახეს დატანჯული საქართველო.

ტ-მ-ლი.

თბილისი.
ღვინობისთვე.

პარტიული ცხოვრება

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საზღვარგარეთელ კომიტეტმა დაადგინა: ეთხოვოს პარტიის წევრებს მოგვწოდოს კარგესოდენციები როგორც საქართველოდან, ისე უცხო ქვეყნებიდან, სადაც კი ისინი იმყოფებიან; გვაცნობონ აგრედვე მათი მისამართი, რომ შეგვეძლოს გახეთ «საქართველო»-ს გადავხავნა.

პარიზის პარტიულ ორგანიზაციაში, 29 გასულ დეკემბერს, ბ. გ. გვაზავამ წაიკითხა მოხსენება, რომლის შინაარსი მოკლედ მოყვანილია ამ ნომერში შემდეგი სათაურით: «ჩვენ და სოციალიზმი».

4 და 11 იანვარს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პარიზის ორგანიზაციაში წაიკითხა მოხსენება ტიტე ბერი-შვილმა ამ სათაურით: საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა. მოხსენება იყო მეტად შინაარსიანი და მოახდინა დიდი შთაბეჭდილება.

კვირას, 8 თებერვალს, დანიშნულია პარტიული კრება. მოხსენებას გააკეთებს ბ. შ. ოდიშარია ამ თემაზე: მიწის საკითხი საქართველოში.

Rédaction et Administration
Paris (VI), 3, rue du Sabot
GEORGES GVAZAWA.

შოლიო დე კავიიოე
ფარსმან
გეფე ივერიისა
თარგმანი.
ფასი 5 ფრ.
გამდვიდა და იყიდება.
(ზისამართი: 8, rue François Coppée Paris. გიორგი გვაზავა)
Gérant : G. MALLET.
Imprimerie « La Gazette de S.-et-O. » — Arpajon